# სულხან– საბას

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი:
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, თითქოს ხომალდი.

რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად
სიტყვები მაინც გადაგერჩინა...
ვარდსაც და თაფლსაც და პურის
მშობლური სიტყვის მადლი გერჩივნა.

და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა,
სამშობლოს ცაზე გამოხლართული,
შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული, –

მი მიყვარს სიტკბო შენი სიბრძნისა,
შენს ჭაღარაზე გადმომწვეთარი...
მე მიყვარს შენი სიტყვის მარილი, –
შეი ხალხისთვის დღესაც მწეთ არი.

ახალნაშენი სამშობლოს შვილი
შენს მხცოვან აჩრდილს ვეალერსები;
შენის ცრემლის რწყვით, შენის ამაგით
გამოკვებულა ჩემი ფესვები...